საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 311 106.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 314 332.1 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 48 576.1 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 59.423%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.564%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 36.012%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.001%.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა - 37 043.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 37 607.9 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5 222.9 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 81.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 18.9%.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 94 946.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 102 150.4 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11 468.0 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 90.657%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.530%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 8.810%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.003%.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 56 550.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 55 907.7 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5 737.0 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 91.91%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 8.08%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.01%.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 950.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 5 300.1 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 782.0 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.4%.

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 40 978.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 41 086.1 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 904.2 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 85.1%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 10.0%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 4.9%.

სსიპ – კონკურენციის სააგენტო

სსიპ - კონკურენციის სააგენტოსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 900.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 1 218.8 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 626.0 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - კონკურენციის სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.94%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 3.02%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.04%.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 735.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3 729.0 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 249.2 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 93.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 6.2%.

საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 25 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 25 597.3 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 33.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 87.9%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 11.8%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა შეადგინა 3 500 ათასი ლარი. აღნიშნული სრულად შეესაბამება გასული წლის მაჩვენებელს.


2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატი

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 8 900.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 9 000.1 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5 949.1 ათასი ლარით ნაკლებია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.39%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.56%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.05%.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის 2015 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 300.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 273.5 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 43.4 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 98.9% ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.1%.

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 080.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 764.6 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 489.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთვის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 99.3%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.7%.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 165.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 061.2 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 335.7 ათასი ლარით მეტია.


2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.5%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 2.2%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი


პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის 2015 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 205.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 2 154.0 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 566.0 ათასი ლარით მეტია.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 57.5%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 42.5%.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის 2015 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 934.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 912.7 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 743.2 ათასი ლარით ნაკლებია.




საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 99.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.2%.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურისათვის 2015 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4 500.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 4 387.0 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 438.1 ათასი ლარით მეტია.

2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 95.40%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.59%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.01%.

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 7 450.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 7 103.3 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5 214.2 ათასი ლარით მეტია.


2014-2015 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 72.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 28.0%.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 4 200.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 4 196.6 ათასი ლარი, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 959.1 ათასი ლარით მეტია.



სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 99.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0.2%.

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 2 150.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 084.7 ათასი ლარი. სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 95.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 4.1%.

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 260.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 243.6 ათასი ლარი. ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 98.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 1.6%.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 6 900.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 6 850.8 ათასი ლარი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 43.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 57.0%.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 37 400.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 37 374.8 ათასი ლარი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 92.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 8.0%.

სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის 2015 წლის გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 5 850.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 5 144.8 ათასი ლარი. სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის გამოყოფილმა სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა- 95.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 4.2%.

ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებსა და დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის შესახებ

03 00 - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის დასაწყისიდან აგვისტოს ჩათვლით, ვაკანტური თანამდებობის არსებობით და აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული ხარჯების აუთვისებლობით;

06 02 - არჩევნების ჩატარების ღონისძიებები- დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

14 00 - სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების დანართით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების შესრულებიდან გამომდინარე.

17 00 - სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში- დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა ძირითადად განპირობებულია შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილი ეკონომიით, რაც გამოიწვია ვაკანტური ადგილების არსებობამ;

20 00 - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით;

21 00 - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.

23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.

24 01 02 – სახელმწიფო ქონების მართვა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

24 01 04 - საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოში ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სეთ-თოფ ბოქსების შესყიდვისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების (დღგ) დასაფარად და ასევე, საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით მოსახლეობისათვის საინფორმაციო ფურცლების დასარიგებლად საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად ასიგნებების გაზრდით სხვა პროგრამული კოდის ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

24 03 – სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

24 05 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფით და აგრეთვე, რუსეთის მიზნობრივ ბაზარზე საქართველოს ზამთრის სეზონის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით სხვა პროგრამული კოდის ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

24 10 - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

25 05 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია USAID-ის პროექტების ხაზით დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვის გამო;

26 01 - სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

26 08 - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

26 10 - ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

26 14 - მიწის ბაზრის განვითარება (WB) - საკასო ხარჯის ნაწილში ხარჯების აუთვისებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროექტის პირობების თანახმად აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ღონისძიებების დაწყება დამოკიდებულია საქართველოს მხრიდან შესაბამისი კანონმდებლობის მიღებაზე;

28 02 - მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია რიგი მივლინებების გადადებით, აგრეთვე „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების დანართით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების შესრულებიდან გამომდინარე არ იქნენ მოწვეულნი მაღალანაზღაურებადი ექსპერტები;

29 06 - საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) - დამტკიცებულ, დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საკასო ხარჯის ნაწილში ასახულია დონორის მიერ წლის ბოლოს ფაქტიურად ჩამორიცხული თანხის ოდენობა.

30 04 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია თანამშრომელთა საზღვარგარეთ გადაუდებელი მკურნალობის დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

32 02 06 - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია 2015-2016 სასწავლო წლისათვის დაზუსტებული ბენეფიციარების, წინა წლებში არსებული ნაშთისა და სკოლებში არსებული ვარგისი სახელმძღვანელოების გათვალისწინებით დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით სასკოლო სახელმძღვანელოების შესყიდვით და შესაბამისად ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

32 04 02 02 - სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრის, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგების მოწესრიგებით, ასევე წლის განმავლობაში რიგი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებით;

32 04 05 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს

შორის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების საკასო ხარჯის ნაწილში ასახვით;

32 05 02 03- უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება- დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გაზრდით სამინისტროს სხვა პროგრამებიდან ასიგნებების გადანაწილებით;

32 05 02 04 - სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება - სხვაობა დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მონაცემებს შორის გამოწვეულია ასიგნებების გადანაწილებით რიგი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად;

32 06 - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენას და სარეაბილიტაციო-სატენდერო პაკეტების ამერიკულ მხარესთან შეთანხმებას დაგეგმილზე დიდი დრო დასჭირდა (ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შეუთავსებლობიდან გამომდინარე). ამასთან, შრომის ბაზრის კვლევის საბოლოო ანგარიშის დასრულების გადავადებამ გამოიწვია პროფესიული განათლების კომპონენტში გრანტების გაცემის ვადების გადაწევა;

33 04 02 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან თანხების გამოყოფით. აგრეთვე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამების ასიგნებებში თანხების გადანაწილებით, ძირითადად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო, სარეაბილიტაციო, საკონსერვაციო და ასევე, სხვასახვა სამუშაოების შესასრულებლად;

34 01 - იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

34 03 - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს განსაზღვრული მიზნების, ამოცანების შესრულებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების დაფინანსების გაზრდით სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

35 01 03 - დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 01 06 - სამედიცინო მედიაციის პროგრამა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2015 წლის 1 ივნისიდან განხორციელდა სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახურის ლიკვიდაცია;

35 01 07 - ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის პროგრამა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2015 წლის 1 ივნისიდან განხორციელდა სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრის სამსახურის ლიკვიდაცია;

35 01 08 - სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ასიგნებები გადატანილ იქნა „35 03 03 07 02 - სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება“ პროგრამულ კოდზე „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ბრიგადების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგებასთან (30% ზრდა) დაკავშირებით;

35 03 02 02- იმუნიზაცია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კურსთაშორისი ცვლილების გამო მოიმატა ვაქცინებისა და ასაცრელი საშუალებების შემენისათვის საჭირო თანხის ოდენობამ, ასევე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ევროპის რეგიონი, რომელშიც შედის საქართველოც, 2016 წლის აპრილიდან უნდა გადავიდეს ბივალენტური პოლიომიელიტის ვაქცინის გამოყენებაზე, ნაცვლად ტრივალენტური ვაქცინისა. აღნიშნულმა განაპირობა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

35 03 02 03 - ეპიდზედამხედველობის პროგრამა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის N308 დადგენილებით პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცდა დაგეგმილზე ნაკლები ოდენობით, რადგან პროგრამით გათვალისწინებული მალარიის გადამტანების საწინააღმდეგო ინსექტიციდების შესყიდვა 2015 წელს არ განხორციელებულა, გამოყენებულ იქნა 2014 წელს შესყიდული მარაგი. აღნიშნულმა განაპირობა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

35 03 02 07 - ტუბერკულოზის მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 03 02 08 - აივ ინფექცია/შიდსი - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 03 02 12 - C ჰეპატიტის მართვა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს აღნიშნული ქვეპროგრამა არ იყო გათვალისწინებული და „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციას დაემატა "C ჰეპატიტის მართვა“ პროგრამული კოდი და გადანაწილდა ასიგნებები სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

35 03 03 03 - ზავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საზღვარგარეთ მკურნალობის კომპონენტის ფარგლებში ბენიფიციართა მიმართვიანობა იყო შემცირებული, რაც განაპირობა სოლიდარობის ფონდის საქმიანობის ამოქმედებამ. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 03 03 05 - ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში (რომელიც ვრდცელდება ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. თელავსა და თელავის მუნიციპალიტეტში, ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქ. ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ქ. გორსა და გორის მუნიციპალიტეტში) გეოგრაფიული მოცვის ზრდა არ განხორციელებულა, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მზაობის არ ყოფნის გამო. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 03 03 09 - რეფერალური მომსახურება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია სამედიცინო დახმარების მსურველ მოქალაქეთა მომართვიანობის გაზრდით. აღნიშნულმა განაპირობა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

35 03 04 - დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში, საექიმო სპეციალობების მამიებელთა მომართვიანობა იყო მცირე. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 05 - შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად გამოწვეულია ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით, სამუშაოს მამიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის კომპონენტის ფარგლებში ჩართული ბენეფიციარების სიმცირით, მონიტორინგის კომპონენტის ფარგლებში დამკვირვებლების ივლისში შერჩევით და სხვა. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

36 01 03 - ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირის ფაქტიური მოხმარებით;

36 03 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია მიმდინარე პროექტებზე დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ფაქტიური გადახდებით;

37 01 06 - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების სასაფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურად გამართვისათვის გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად სამინისტროს სხვა პროგრამებიდან თანხების გადანაწილებით;

37 01 10 - აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების

განსახორციელებლად, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ბენეფიციარების დაბალი აქტივობა და მზღვეველი ორგანიზაციების მიერ პოლისების გაყიდვების შემცირება;

37 01 12 – აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებას შორის სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: პროექტი დაიწყო (ეფექტურად გამოცხადდა) 2015 წლის 28 მაისს. შესაბამისად, დონორის მიერ თანხების ჩამორიცხვა განხორციელდა - IFAD Grant – 2015 წლის 25 ივნისს, IFAD Loan – 2015 წლის 21 ივლისს, GEF Grant – 2015 წლის 15 სექტემბერს (ამ უკანასკნელის ჩამორიცხვის წინაპირობა იყო ე.წ. GEF კოორდინატორის დაქირავება, აღნიშნულ ვაკანსიაზე ორჯერ გამოცხადდა ღია კონკურსი, რომლის შედეგადაც შეირჩა დონორისათვის მისაღები კანდიდატურა;

37 01 20 - დანერგე მომავალი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პროგრამის დაწყების უზრუნველსაყოფად სამინისტროს სხვა პროგრამებიდან თანხების გადანაწილებით;

37 01 21 - ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

37 02 - სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოტიური კეთილსაიმედობა - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

37 03 - მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

38 05 - სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

38 06 - გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

38 07 - გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

39 01 - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით,

ხოლო სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული და დამტკიცებული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

41 00 - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

43 00 - სსიპ – კონკურენციის სააგენტო - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2015 წლის სექტემბრამდე სააგენტო იმყოფებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში და დაკავებული არასაკმარი ფართის პირობებში ვერ განხორციელდა სააგენტოს სრული დაკომპლექტება. გამომდინარე აქედან, გამოთავისუფლდა სახელფასო/საპრემიო ფონდის ნაწილი და თანამშრომლებისათვის ინვენტარის/ტექნიკის შესასყიდად გათვალისწინებული თანხები. გარდა აღნიშნულისა, „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნათა შესაბამისად, სააგენტოს მიერ არ იქნა შესყიდული 2 ერთეული მსუბუქი ავტომობილი, რამაც აგრეთვე განაპირობა ასიგნებების ათვისების დაბალი პროცენტი;

45 02 - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.

45 08 - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტის ასიგნებების შემცირების ხარჯზე სრულიად საქართველოს საპატრიარქოს (კოდი 45 01 45) ასიგნებების გაზრდის მიზნით.

49 00 – სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის შეუსაბამობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ჩაშლილი ტენდერის გამო ვერ განხორციელდა 2015 წლის მე-4 კვარტალში დაგეგმილი საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კვლევის მომსახურების შესყიდვა;

51 00 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.

52 00 - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.

56 00 - სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განაპირობა სამსახურში არსებულმა ვაკანსიებმა. ამასთან, დაგეგმილი იყო სამსახურსთვის შენობის გადაცემა, რის გამოც ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე რემონტის, ტრანსპორტის დაქირავების, სერვერისა და ქსელების ხარჯები. გამომდინარე იქიდან, რომ სამსახური კვლავ განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში ზემოაღნიშნული ხარჯები არ იქნა ათვისებული;

59 00 - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი -დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.